

სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა

მუხლი 1. პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მცხოვრები (რეგისტრირებული) სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული მრავალშვილიანი ოჯახებისათვის (4 და მეტი შვილი) ყოველთვიურად მატერიალური დახმარების გაწევა.

მუხლი 2. სამიზნე ჯგუფი და პროგრამით მოსარგებლეთა შერჩევის წესი

1. პროგრამით მოსარგებლე ჯგუფს წარმოადგენენ ქალაქ რუსთავში მცხოვრები მრავალშვილიანი ოჯახები, რომლებიც ქალაქ რუსთავში რეგისტრირებულნი არიან განცხადებით მომართვამდე არანაკლებ 1 (ერთი) წლის განმავლობაში უწყვეტად (წყვეტის შემთხვევაში რეგისტრაცია არ უნდა ფიქსირდებოდეს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებს გარეთ) და მათი ოჯახის სარეიტინგო ქულა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში არ აღემატება 150 000-ს, რომელთაც ჰყავთ 4 და მეტი შვილი. პროგრამით დადგენილი არაუმეტეს 1 წლიანი რეგისტრაცია (ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში) მოეთხოვება მშობელს (განმცხადებელს), ხოლო პროგრამის ბენეფიციარებს (მათ შვილებს) მხოლოდ აქტიური რეგისტრაციის სტატუსი. მატერიალური დახმარება გაიცემა 18 (თვრამეტი) წელს მიუღწეველი შვილების რაოდენობის გათვალისწინებით.

2. თუ ოჯახი დროებით აღარ ირიცხება სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში (სოციალურად დაუცველის სტატუსის შეჩერება), ამ შემთხვევაში ოჯახი მიიღებს განაცდური თვეების დახმარებას მას შემდეგ, რაც აღდგება ოჯახის რეგისტრაცია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში.

3. პროგრამით მოსარგებლეთა კრიტერიუმებთან შესაბამისობა და პროგრამით სარგებლობის შესაძლებლობა განისაზღვრება შემდეგი დოკუმენტაციის საფუძველზე:

ა) განცხადება ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის სახელზე (გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ოჯახი სარგებლობდა აღნიშნული პროგრამით გასულ წელს);

ბ) ერთ-ერთი მშობლის ან ბავშვების სხვა კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

გ) ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან.

დ) ბავშვების დაბადების მოწმობების ასლები;

ე) ერთ-ერთი მშობლის ან ბავშვების სხვა კანონიერი წარმომადგენლის საბანკო ანგარიშის ამონაწერის დედანი, დამოწმებული ბანკის ბეჭდით.

4. გამონაკლისი ამ მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებულ საცხოვრებელი ადგილის რეგისტრაციასთან დაკავშირებით ვრცელდება იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მქონე პირებზე, რომელთაც დევნილის სტატუსის დამადასტურებელი

დოკუმენტის მიხედვით, რეგისტრირებულ მისამართად უფიქსირდებათ - ქალაქი რუსთავი.

მუხლი 3. პროგრამის განხორციელების პერიოდი

პროგრამის განხორციელების ვადა განისაზღვრება 2018 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

მუხლი 4. პროგრამის განხორციელების მექანიზმები

1. პროგრამა უზრუნველყოფს ქალაქ რუსთავში მცხოვრები (რეგისტრირებული) სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული მრავალშვილიანი ოჯახებისთვის ყოველთვიურად მატერიალური დახმარების გაწევას, თითო არასრულწლოვან ბავშვზე 30 (ოცდაათი) ლარის ოდენობით. ბავშვისთვის 18 წლის შესრულების შემთხვევაში, პროგრამით დადგენილი დახმარება ოჯახს შეუწყდება მომდევნო თვიდან, მხოლოდ იმ ოდენობით, რასაც იღებდა ოჯახი ბავშვის 18 წლის შესრულებამდე. ოჯახის დახმარება დანარჩენ არასრულწლოვან ბავშვებზე დარჩება უცვლელი.

2. პროგრამით მოსარგებლებს ყოველთვიურად ერიცხებათ შესაბამისი თანხა (ბავშვების რაოდენობის მიხედვით) მათ მიერ წარმოდგენილ საბანკო ანგარიშზე.

3. პროგრამა ითვალისწინებს სავარაუდოდ 735 (შვიდასოცდათხუთმეტი) ბენეფიციარის მატერიალური დახმარებით უზრუნველყოფას.

4. პროგრამით მოსარგებლეთა რაოდენობა ყოველთვიურად შესაბამისობაში მოდის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ მოწოდებულ სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზასთან და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებულ სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ მოწოდებულ ბაზასთან. ზემოაღნიშნული, ყოველთვიურად განახლებადი ბაზების საფუძველზე ცვლილება შეიძლება შევიდეს პროგრამით მოსარგებლეთა რაოდენობაში, რაც გამოიწვევს ცვლილებას ანგარიშსწორებისას.

მუხლი 5. პროგრამის ბიუჯეტი

1. სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამის ბიუჯეტია 264 600,00 (ორასსამოცდაოთხი ათას ექვსასი ლარი და 00 თეთრი) ლარი. პროგრამის დაფინანსების წყაროს წარმოადგენს ადგილობრივი ბიუჯეტი, რომელიც კვარტალურად გადანაწილებულია შემდეგი სახით:

ბიუჯეტი	264 600,00 ლარი
---------	-----------------

I კვარტალი	66 150,00 ლარი
II კვარტალი	66 150,00 ლარი
III კვარტალი	66 150,00 ლარი
IV კვარტალი	66 150,00 ლარი

მუხლი 6. პროგრამის შედეგი

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში მცხოვრები (რეგისტრირებული) სოციალურად დაუცველი (0-დან 150 000 ქულის ჩათვლით) მრავალშვილიანი ოჯახების მატერიალური დახმარება.

მუხლი 7. პროგრამის შემდგენი და მის განხორციელებაზე პასუხისმგებელი სამსახური

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური.

ნინო ქვირია

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის
პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური
მომსახურების სამსახურის ხელმძღვანელი